ცხოვრების მიზნად სიმართლე გქონდეს და სიყვარული მოძმეთა ვალად!

26 (9917) • 27 ivnisi • 2011 w.

gazeTi gamodis
1931 wlis 5 ianvridan

ალიონი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

ყოველკვირეული გამოშვება
ფასი 20 თეთრი

გუბერნატორმა გაფართოებული თათბირი გამართა

გურიის გუბერნატორის ინიციატივით, 23 ივნისს, რწმუნებულის ადმინისტრაციის სხდომათა დარბაზში გაიმართა გაფართოებული თათბირი მუნიციპალიტეტების გამგებლების, საკრებულოთა თავმჯდომარეების, ზედამხედველობის, ინფრასტრუქტურისა და სოციალურ საკითხთა სამსახურების ხელმძღვანელთა მონაწილეობით, 2011 წლის გურიის მხარის მუნიციპალიტეტების სოციალურ-ეკონომიკურ და ინფრასტრუქტურულ მდგომარეობასა და შემდგომი განვითარების ტენდენციებზე.

რიკოთზე მოძრაობა აღდგა

ერთკვირიანი ინტენსიური სამუშაოების შემდეგ, რიკოთზე მოძრაობა გუშინ აღდგა. გვირაბის შემოვლით გზაზე ორმხრივად მოძრაობის უფლება ტრანსპორტს ერთ საათში მიეცემა.

გზაზე სარეაბილიტაციო სამუშაოები კვლავ მიმდინარეობს, თუმცა ეს მანქანების გადაადგილებას ხელს არ უშლის.

რიკოთზე არსებული ვითარების შესახებ ბოლო ინფორმაცია რეგიონული განვითარების მინისტრმა ბრიფინგზე გაახმაურა.

ტერიტორია სტიქიამ აქ 18 ივნისს დააზიანა. ამ პერიოდის განმავლობაში, აღმოსავლეთიდან დასავლეთ საქართველოში მოხვედრა მხოლოდ საჩხერისა და ახალციხის შემოვლითი გზების მეშვეობით იყო შესაძლებელი.

შესაბამისი სამსახურები ადგილზე 24–საათიან რეჟიმში მუშაობდნენ.

ხელისუფლება სეზონური მოვაჭრეებისაგან სტანდარტების დაცვას ითხოვს

ნუგზარ ასათიანი

ყოველწლიურად, ზაფხულის სეზონზე არაერთი მოქალაქე ქირაობს დაბა ურეკში (მაგნეტიტში) მიწის ფართობს, სადაც დგამს დროებით სავაჭროს და გარკვეულ ბიზნესს ეწევა. ეს „სიამოვნება“ დროებით მოვაჭრეს საკამოდ ძვირი უჯდება, რადგან 20-25 კვადრატული მეტრი მიწის ერჯერადი საფასური (გააჩნია ადგილმდებარეობას) საშუალოდ 500-და 1000 ლარამდე ღირს. 1000 ლარი სავაჭროს დადგმას სჭირდება. ამას ემატება გადასახადები. მაგრამ მაინც უღირდათ სეზონურ მოვაჭრეებს.

ადრე ისინი უფრო „მთის ბროლის“ წინა ტერიტორიას ეტანებოდნენ ძირითადად. ახლა ეს ადგილი იჯარით, როგორც გვითხრეს სასტუმრო „თბილისის“ მეპატრონემ აიღო და იქ უფრო კომფორტული ჯიხურები ჩადგა, რომელთაც წელს, სეზონზე 3000-დან 4 ათას დოლარამდე ფასად აქირავებს. ამან აიძულა დროებით მოვაჭრეები სხვა ადგილები ეძებნათ, მაგრამ წინააღმდეგობას წააწყდნენ. მუნიციპალიტეტი დროებითი სარგებლობის მაღაზიებს სხვა პირობებს უყენებს.

24 ივნისს დროებითი მოვაჭრეები მუნიციპალიტეტის შესასვლელთან შეიკრიბნენ და ხელისუფლებასთან შეხვედრა მოითხოვეს. ისინი გურიის ვიცე-გუბერნატორმა ლაშა შაფაქიძემ მიიღო.

– დროებითი სარგებლობის მაღაზიები სტანდარტებს უნდა აკმაყოფილებდეს–იყო შაფაქიძის პასუხი. ვიცე-გუბერნატორმა დროებით მოვაჭრეებს აუხსნა, რას ნიშნავს ეს სტანდარტები. საბოლოოდ გარკვეულ შეთანხმებას მიაღწიეს.

ეს „სტანდარტები“ ძირითადში იმას ითვალისწინებს, რომ სავაჭროები ესთეტიურად მიმზიდველად უნდა გამოიყურებოდეს, არ იდგეს უშუალოდ ქუჩის კიდეში და იცავდნენ დადგენილ წესებს.

ავღანეთში ოზურგეთელი რიგითი გია გოგუაძე დაიღუპა



ავღანეთში ქართველი სამხედრო მოსამსახურე, ოზურგეთელი რიგითი გია გოგუაძე თალიბების თავდასხმის დროს სასიკვდილოდ დაიჭრა. მოხდა მისი ჰოსპიტალიზაცია, თუმცა, ექიმებმა ჭრილობების სიმძიმის გამო, სამხედროს გადარჩენა ვერ შეძლეს. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, რიგითი გოგუაძე III ქვეითი ბრიგადის შემადგენლობაში აშშ -ის მისიის ფარგლებში ჰელმანდის პროვინციაში მსახურობდა. გარდაცვლილის ცხედარი საქართველოში გადაასვენეს. ორი წლის განმავლობაში, რაც ქართული კონტინგენტი ავღანეთში იმყოფება, საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა 9 ჯარისკაცი დაკარგა. 20-ზე მეტმა კი სხვადასხვა სახის ჭრილობა მიიღო. ცოტა ხნის წინ საქართველოს პრეზიდენტმა მიიღო ერთპიროვნული გადაწყვეტილება, დამატებით 2012 წლისათვის კიდევ ერთი ქართული ბატალიონი გაგზავნოს ავღანეთში კოალიციის დასახმარებლად. ამჟამად ავღანეთში საქართველოს 950-მდე სამხედრო მოსამსახურე იმყოფება.

გია გოგუაძე გასულ ხუთშაბათს ოზურგეთში, სოფ. ბოხვაურში დაკრძალეს. დაკრძალვას საქართველოს თავდაცვის მინისტრი ბაჩო ახალაია დაესწრო. დაღუპულის ოჯახმა სამძიმრის წერილი მიიღო საქართველოს პრეზიდენტისაგან და უცხოეთის საელჩოებისაგან.

წამების წინააღმდეგ საერთაშორისო დღე ოზურგეთშიც აღნიშნეს

გუშინ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ წამების წინააღმდეგ საერთაშორისო დღე აღნიშნა. ამ დღესთან დაკავშირებით აქციები გაიმართა როგორც თბილისში, ისე საქართველოს სხვადასხვა ქალაქში დროებითი მოთავსების იზოლატორების შენობებთან.

ოზურგეთში აქცია სამხარეო და რაიონული პოლიციის წინ, დროებითი მოთავსების იზოლატორთან გაიმართა.

აქციაში მონაწილეობდნენ ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თანამშრომლები, მოხალისეები, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, ჟურნალისტები, მოქალაქეები.

შავ მაისურებზე, რომლებიც აქციის მონაწილეებს დაურიგდათ, ეწერა: „არ აწამო!;“„არ გაჩუმდე!;“ „არ დაფარო!;“„არ შეეგუო!;“ „გამოიძიე!“.

როგორც საიას-ოზურგეთის ოფისის ხელმძღვანელმა თამაზ ტრაპაიძემ გვითხრა, ზუსტად 14 საათზე აქცია დაიწყო თითქმის ყველა ქალაქში, სადაც საიას ოფისებია განთავსებული, კერძოდ თბილისში, რუსთავში, გორში, აჭარაში, ქუთაისსა და ოზურგეთში.

აქციის მეშვეობით საია აღნიშნავს წამების მსხვერპლთა დაცვის საერთაშორისო დღეს და ყურადღებას ამახვილებს შემდეგ გზავნილებზე:

ადმინისტრაციული პატიმრობის არსებობა მოქმედი ფორმით და მისი მოხდა დროებითი მოთავსების იზოლატორში მიუღებელია, რადგან, როგორც წესი, ეს უთანაბრდება წამებას და არაადამიანურ მოპყრობას;

მოვუწოდებთ წამების ან/და არაადამიანური მოპყრობის მსხვერპლებს ხმა აიმაღლონ წამების წინააღმდეგ;

მოვუწოდებთ სამართალდამცავ ორგანოებს ეფექტურად და მიუკერძოებლად გამოიძიონ წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტები.

კუბლაშვილმა ოპოზიციას საარჩევნო საკითხებზე ხელისუფლების პოზიცია გააცნო

"ახალი მემარჯვენეების" ოფისში მამუკა კაციტაძისა და პავლე კუბლაშვილის შეხვედრა გაიმართა. შეხვედრაზე "ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენელმა, დეპუტატმა პავლე კუბლაშვილმა "ოპოზიციური რვიანისთვის" საარჩევნო ცვლილებებთან დაკავშირებული წინადადებები მამუკა კაციტაძეს გადასცა.

გვ-2

კუბლაშვილმა ოპოზიციას საარჩევნო საკითხებზე ხელისუფლების პოზიცია გააცნო

"ახალი მემარჯვენეების" ოფისში მამუკა კაციტაძისა და პავლე კუბლაშვილის შეხვედრა გაიმართა. შეხვედრაზე "ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენელმა, დეპუტატმა პავლე კუბლაშვილმა "ოპოზიციური რვიანისთვის" საარჩევნო ცვლილებებთან დაკავშირებული წინადადებები მამუკა კაციტაძეს გადასცა.

საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების მიზნით, "ოპოზიციურ რვიანს" მმართველი პარტია შემდეგ წინადადებებს სთავაზობს:

საქართველოს პარლამენტის წევრთა რაოდენობა 150-დან 190-მდე გაიზრდება, მათგან 83 მაჟორიტარი იქნება - ერთმანდატიანი საარჩევნო ოლქიდან, 107 კი პროპორციული სისტემის საფუძველზე აირჩევა.

ამომრჩეველთა სიების დაზუსტებისა და მონიტორინგის მიზნით, შეიქმნება კომისია ხელისუფლების, ოპოზიციური პარტიებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებისგან - პარიტეტულ საწყისებზე.

ამომრჩეველთა სიების გადამოწმება კომისიამ უნდა უზრუნველყოს 2011 წლის 1 ოქტომბრიდან 2012 წლის 1 ივლისამდე. კომისიის საქმიანობა დაფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

საარჩევნო კოდექსში გათვალისწინებული იქნება შემდეგი საკითხები:

საარჩევნო სუბიექტის შემოწირულობათა ზღვარი განისაზღვრება 60 ათასი ლარით ფიზიკური პირებისთის და 200 ათასი ლარით იურიდიული პირებისთვის.

საარჩევნო სუბიექტი, რომელიც გადალახავს 5%-იან ბარიერს, სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიიღებს ერთჯერადად 1 მილიონ ლარს - საარჩევნო კამპანიის ხარჯების დასაფარად, მათგან 300 ათასი ლარი წინასაარჩევნო სატელევიზიო რეკლამის ხარჯების დაფარვას მოხმარდება.

არჩევნებზე განხორციელდება ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების მონიტორინგი და მედიამონიტორინგი.

არჩევნების დღეს საარჩევნო უბნებზე კვალიფიციური სუბიექტების წარმომადგენლები დაფინანსდებიან სახელმწიფო ბიუჯეტიდან - 50 ლარის ოდენობით.

გადასატან ყუთზე ამომრჩეველთა მიერ ხმის მიცემის დროს დადგინდება ზედა ზღვარი.

გადაიხედება საარჩევნო დავებისთვის დადგენილი ვადები;

აღნიშნული შეთანხმებისთვის საჭირო საკანონმდებლო ცვლილებები განხორციელდება 2011 წლის ოქტომბრამდე.

რადიო „თავისუფლება“

ბუდიდან აფრენილი ბარტყები და... მასწავლებლის გულში ვერდატეული სიყვარული

ნინო ნიკოლაიშვილი

„ოთხი კლასი,მასწავლებლობის უტკბილესი და უნეტარესი წლები“ – ასეთი წარწერა კედელზე, სიმბოლური სურათი ბუდიდან აფრენილი ბარტყებისა, ბევრი ყვავილით და ფერადი ბურთებით მორთული დარბაზი. გაზაფხული იყო დარაბებს მიღმა და დარაბებს შიგნითაც. და რაც მთავარია იქ მასპინძელი აღმზრდელ-აღსაზრდელთა დიდი სიყვარული იყო.

ოზურგეთის №1 საჯარო სკოლის IV-ა კლასის გამოსაშვები ღონისძიება კლასის ხელმძღვანელმა ნანი სალუქვაძემ გახსნა. მერე ოთხი წლის ნაშრომ-ნამაგარი საზეიმოდ გამოაფინა და მზის სხივებით დაფერილი ბავშვობის ულამაზესი პერიოდი წარმოადგინა თავის მოსწავლეებთან ერთად, გაუბედავი პირველი სასკოლო ნაბიჯებიდან მოყოლებული, დღემდე. ღიმილითა და სიყვარულით აღსავსე, მშვენიერი, დარბაისელი ქალბატონი რომ მიეგება შეშინებულ, დედის კალთებს ამოფარებულ პატარებს. მერე ეს ოთხი წელი ასეთივე სიყვარულით ატარა ცოდნის სამყაროში. მართალია „წლები სიმაწვილისა გავიდა... არა თქვა, რომ ბავშვობა დამთავრდა.“

მღეროდნენ, ხუმრობდნენ, ცეკვავდნენ ახლა უკვე „დიდები“, ნანი მასწავლებელთან ერთად. გასაოცარი ოსტატობით ასრულებდნენ თითოეულ ნომერს. თემატურად საინტერესოსა და იუმორით აღსავსეს. ყველას მოეფერნენ, პატარა მსახიობები, მომღერლები, მოდელები...

ამბობენ – მასწავლებლის შრომა მოსწავლით ფასდება. აქ ჩადებული შეუფასებელი შრომა აღმზრდელისა, ეი იას სურნელით გაჯერებული, უფლისა და მოყვასის მოყვარეობით, სამშობლოს სიყვარულით ნალოლიავები, ბავშვების გულისთქმის გამგები იყო და, ამიტომაც შესაცქეროდნენ ესოდენ დიდი ნდობითა და სიყვარულით აღზრდილები აღმზრდელს.

– ეს იყო სიყვარულის, დედაშვილობის, მოსწავლე-მასწავლებლობის ოთხი წელი. ნანი მასწავლებლისგან ჩვენ განებივრებულნი ვართ საუკეთესო გაკვეთილებითა და ღონისზიებებით, აღნიშნა სკოლის დირექტორმა მაია თავართქილაძემ და მეხუთე კლასისაკენ გზა დაულოცა პატარებს.

ოზურგეთელი ქალები საერთაშორისო კამპანიას შეუერთდნენ

ნინო ნიკოლაიშვილი

კულტურულ-ჰუმანიტარული ფონდ „სოხუმის“ ოზურგეთის ქალთა კლუბის შეხვედრა საერთაშორისო კამპანიის „გლობალური კვირა შეიარაღებული ძალადობის წინააღმდეგ“ მხარდასაჭერად გაიმართა. კამპანია 13-19 ივნისის ფარგლებში ჩატარდა **iansa**-ს ორგანიზებით და მისი მიზანი გახლდათ, კაცობრიობის ყურადღების მიქცევა უკონტროლო შეიარაღების საფრთხისაკენ. საერთაშორისო ქსელი ცდილობს მსოფლიოს დაანახოს კავშირი გენდერს, ქალთა უფლებებს, შეიარაღებასა და შეიარაღებულ ძალადობას შორის. რადგან ასეთ შემთხვევებში ყველაზე მეტად ქალი ზარალდება და ხდება შეიარაღებული ძალადობის მსხვერპლი. ქსელში 60-ზე მეტი ქვეყნის მონაწილეებია ჩართული.

კამპანიის გზავნილი გახლავთ უბრალო ადამიანების აქტიურობისა და ინფორმირებულობის ზრდით ნაციონალურ, რეგიონალურ და გლობალურ დონეზე განხორციელდეს კონტროლი იარაღით ვაჭრობაზე. შემდეგ ქალთა კლუბის წევრებმა ქალთა მდგომარეობაზე, საქართველოში არსებულ მოვლენათა როლსა და გავლენაზე ისაუბრეს. ქეთევან ქადიეშვილმა ყურადღება გაამახვილა იმ სოციალურ და კულტურულ ღონისძიებათა ღირებულებებზე, რომლებიც საინიციატივი ჯგუფის წევრებთან ერთად მოამზადა, და რომლის განხორციელება დაუფინანსებლობის გამო ვეღარ მოხერხდა.

ფლები, ფლები, ფლები...

ასაკი რა მოსატანია, როცა ლამაზი ცხოვრებით სხვათა ინტერესის სფეროში ექცევი. ვიღაცას სურს მოგბაძოს, ვიღაც აღიარებს უპირატესობას, ვიღაც ხმამაღლა ფიქრობს

– რა მშვენიერი ქალბატონია.

წელთა სიმრავლეს რომ არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, ეს ელენე (სიყვარულით ელიკო) ბურჭულაძის მაგალითზე შეგიძლიათ ირწმუნოთ, მაგრამ დღევანდელობა წარსულის გარეშე ვერაფერია.

ობლის სტატუსით მხოლოდ და მხოლოდ დედასთან გატარებული ბავშვობა. საამაყო სტუდენტური წლები, წარმატებული საქმიანობა, დიდი და ლამაზი სიყვარულის ისტორია, რომელიც ამ ქვეყნიდან ნაადრევად წასულ, სულიერად და ფიზიკურად მშვენიერ ვაჟკაცს, ოთარ ცეცხლაძეს უკავშირდება.

პროფესიათა შორის ყველაზე გამორჩეული პედაგოგობა, ინგლისურენოვანი განათლება, მიმზიდველ პროცესად ქცეული რაიონის ახალგაზრდობისათვის.

აღმატებულობა...

ოზურგეთელი პედაგოგების შემადგენლობის მეთოდური (დღეისათვის ტრენინგები) წინამძღოლობა.

შემოქმედებითი ძიებითა და წარმატებებით დატვირთული წლები.

პირადულს თითქოს ჩრდილავდა, მაგრამ არა, თავდადებით, უანგარობით, მეუღლის სისხლსა და ხორცს გაუკვლია გზა ცხოვრებაში. მზითევად მისეული კაცთმოყვარეობა, სამართლიანობა, პასუხისმგებლობა და ერთგულება გატანა.

დღეს უხვად დათესილ სიყვარულს იმკის. აბა რა, სანთელ-საკმეველი თავის გზას არ კარგავს. მეგობრების წრეში ყოფნა დიდი სიამოვნება იყო და არის მისთვის. ტრადიცია არც წელს დაირღვევა. შევიკრიბებით თიბათვის მშვენიერ დღეს, მივულოცავთ ამ ქვეყნად მოვლინების დღეს და სურვილს ვედრებად ამოვთქვამთ:

–იგი, ვინც „გვიყვარს“ დიდი სიყვარულით,

ფრთებით დაიფარე, ამას გევედრებით!

თვითონ კი, მომხიბვლელ ღიმილს მოატარებს მაგიდებს და გვეტყვის:

„ვიხაროთ ორთავ სოფელსა შინა“

მეგობრები.

ფოტო ტური „ბრიზი მთაში“

მარი კოკოევი

ფოტო ტური „ბრიზი მთაში“, რომელიც გურიის ზღვისპირა და მთის კურორტების, კულტურულ-ისტორიული ღირშესანიშნაობების ფირზე ასახვასა და საბოლოოდ გამოფენის მოწყობას გულისხმობს, უკვე დასრულდა.

ფოტო ტურმა სტარტი 19 ივნისს, ურეკში აიღო. სწორედ მაგნიტური ქვიშების სანაპიროზე გადაიღეს პირველი კადრები პროექტში მონაწილე პროფესიონალმა, თუ მოყვარულმა ფოტოგრაფებმა. შემდეგ კი მუშაობა სალომე საღარაძემ, შოთა გუჯაბიძემ, გელა და ირაკლი ძნელაძეებმა, ნინო გაბისონიამ, ვოვა ჩანადირმა, მამუკა ჩხიკვაძემ და სხვა ფოტოგრაფებმა გურიის მთიან ზონაში გააგრძელეს.

ტურის ავტორისა და ორგანიზატორის, ლალი ბერძენიშვილის თქმით, სახელწოდება „ბრიზი მთაში“ საინტერესო მარშრუტსა და გურიის უნიკალურ ბუნებაზე მიანიშნებს. პროექტის მიზანი გურიის კურორტების პოპულარიზაცია და რეგიონის ტურისტულად მიმზიდველ მხარედ წარმოჩენაა. გადაღებული ფოტოებიდან შერჩეული ნამუშევრები ვებსაიტზე განთავსდება. შემდეგ მოეწყობა გამოფენა. იგეგმება საინფორმაციო ბუკლეტებისა და კალენდრების დაბეჭდვა.

აღნიშნული პროექტი ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოციალურ-კულტურული ღონისძიებების საგრანტო პროგრამით ფინანსდება.

№2 საბავშვო ბაღმა 25 ბავშვს დაუღოცა გზა სკოლისაკენ

ოზურგეთში, სერისუბანში მდებარეობს №2 საბავშვო ბაღი, რომლის ისტორია 4 ათეულ წელს აჭარბებს. ამჟამად აქ 3 ჯგუფში 75 ბავშვია. ლამაზი ღონისძიებების მოწყობა ამ ბაღის პედაგოგიური კოლექტივის ტრადიციაა და ასე იყო წელსაც. უფროსჯგუფელები საინტერესო პროგრამით წარდგნენ მშობლების, პედაგოგების, სტუმრების წინაშე. ეს პედაგოგების გულნაზი გოგოტიშვილის, მუსიკის მასწავლებლის თამილა ბურჭულაძის (მათ ქორეოგრაფი მელის ნადირიძეც წახმარებია) დიდი შრომის ნაყოფი გახლდათ.

25 ერთმანეთზე უკეთესი გოგობიჭები ხვალ სასულიერო გიმნაზიის, ქალაქის სხვადასხვა სკოლებში შეაღებენ კარებს და მერხებს მიუსხდებიან. მანამდე კი არაერთი გმირი გააცოცხლეს. ზეიმის დასარულს პატარა ნოდიკო დონაძეს ყვავილების თაიგული მიართვეს. მან უცებ მიაწოდა ივი თანამეწყვილეს ლიზი ცინცაძეს. ლიზიმ მადლობა გადაუხადა და თაიგული ზეიმის სანახავად მოსულ №1 საჯარო სკოლის დაწყებითი კლასის მასწავლებელს ნანი სალუქვაძეს (რომლის მოსწავლეც ლიზი იქნება) მიართვა. ამ პატარა ეპიზოდმა კიდევ უფრო გაალამაზა ის დღე.

რეალური პერსონაჟების მიერ შექმილი გამოგონილი სამყარო

ნინო ნიკოლაიშვილი

რამდენიმე კვირაა, ოზურგეთის სახელმწიფო დრამატულ თეატრში მიმდინარეობს თამაზ მეტრეველის პიესის მიხედვით შექმნილი სპექტაკლის ჩვენება „შეშლილი, შეშლილი ახალი წელი!“, რომლის რეჟისორი ოთარ კუტალაძე გახლავთ. მხატვარი – თამაზ დარჩია; მუსიკალური გამფორმებელი – თორნიკე სურგულაძე; ქორეოგრაფი – ლია მარტიაშვილი; რეჟისორის ასისტენტი – მამუკა მამულაიშვილი;

ერთმოქმედებიან დრამატულ სპექტაკლში წარმოდგენილი ერთი ოჯახის რეალურ ისტორიას არარეალურად მოაზროვნე ადამიანები ქმნიან. ესენი არიან: სალომე – ბელა კიკვაძე; რამაზი – გენადი ნიკოლაიშვილი; თიკო – თეა კეჭაყმაძე; ზაზა – გიორგი დოლიძე; ეკა – თამარ მდინარაძე; ბუჟუ – ლია მარტიაშვილი.

ერთი წვეთი წყალი, ყოველდღიურად, მონოტონურად მიწოდებული, ადამიანს ფიზიკურად კლავს. გულგრილობა და ტყეული მის სულს ანგრევს, ანადგურებს, ნელ-ნელა სიყვარულიც იკარგება. ან იქნებ არც თავიდან არსებობდა. სიყვარულის დეფიციტი კი ყალბ სტერეოტიპებს აყალიბებს. აქ წარმოდგენილი ყოველი პირის ცხოვრების სტილი ტყუილსა და გამოგონილ სამყაროს განეკუთვნება. რაც მათი ტრაგედიის მიზეზია. ისინი არა მხოლოდ ერთმანეთს ატყუებენ, არამედ საკუთარ თავსაც და ცდილობენ, ეს ტყუილი დაიჯერონ. ამიტომაც სჭირთ „ჰალუცინაციები სიყვარულის გამო“. თუ ბელა კიკვაძის სალომემ სიყვარულის სამიზნედ თავისი უფროსი აირჩევია, ლია მარტიაშვილისა და თეა კეჭაყმაძის გმირთა საოცნებო „პრინცები“ გამოგონილნი არიან. ეკას და ზაზას ბინა თითქოს იმიტომ სჭირდებათ, რომ ბავშვი უნდათ გააჩინონ. თითოეული მათგანი კავშირშია „ოჯახის უფროსთან“ რამაზთან. რომელსაც მართალია სახლში ფული მოაქვს, მაგრამ ასევე ტყუილებით ნაშოვარი.

ასეთ ყოფაში მიილია წელი. ახალი წლის მოსვლას ბრჭყვიალა ნაძვის ხე მოწმობს მხოლოდ. სცენის შავთეთრი ლაბირინთები იმ გარემოს ასახავს, რომელშიც ეს ადამიანები ცხოვრობენ და მრგვალ სარკეში უყურებენ საკუთარ, უკვე შეშლილ სახეებს.

სად არის გამოსავალი? – ეს ახალი წლის მოსვლა კი არა, ცხოვრების დაწყებაა. ამისი სურვილი მათ ნამდვილად უჩნდებათ. თუმცა რეალურად რა იქნება, ეს მაყურებლის გადასაწყვეტია.

ოთარ კუტალაძე: „როცა ოჯახში სიყვარულის დეფიციტია და ერთმანეთისადმი უყურადღებობა, ჩნდება ბზარი და ხშირად ოჯახები ინგრება. მერე ადამიანები ამ დანაკლისს სხვაგან ეძებენ. ამიტომ გადავწყვიტე ამ სპექტაკლის დადგმა. ადამიანები ერთმანეთს უნდა გაუფრთხილდნენ და მათი ოჯახის სიმყარეზე იზრუნონ“.

* * *

გამოიცა საქართველოს სახალხო არტისტის, ოზურგეთის სახელმწიფო თეატრის მსახიობის ომარ ურუშაძის ბიოგრაფიული წიგნი-ცნობარი, რომლის ავტორი გახლავთ ქეთევან კუკულავა. ნაშრომში ავტორმა თავი მოუყარა ხელოვანის ცხოვრების გზის ამსახველ მასალებსა და ფოტოებს, რომელიც მისი მშობლიური, უმშვენიერესი სოფელ ჭანიეთიდან იწყება და თეატრალურ ცხოვრებას უერთდება. ფოტოსურათებზე ასახულია სცენები სპექტაკლებიდან, ომარ ურუშაძის მონაწილეობით.

ნაშრომის ბოლოს, სიყვარულით დაწერილ სტრიქონებში გვხვდება როგორც ადგილობრივი კოლეგების, ისე ცნობილი რეჟისორებისა და დრამატურგების გულთბილი სტრიქონები, რომლებიც მსახიობის ღვაწლზე გვესაუბრებიან.

„ვის აღარ მივმართე დახმარებისთვის, პასუხი ყველგან ერთია – არ გვაქვს და რა ვქნათო“

მარი კოძოევი

დვალიშვილების მრავალსულიანი ოჯახი წმინდა გიორგის ქუჩაზე №33-სი ცხოვრობს. მცირე საცხოვრებელი ფართი, სადაც ცხრასულიანი ოჯახი იმყოფება, ცუდ მდგომარეობაშია, მაგრამ დიასახლისის, ციური დვალიშვილის სიტყვებით რომ ვთქვათ, – სახლის მოწყობას ვინ დაეძებს, როცა მთავარ საზრუნავად თავის გატანა და ყოველდღიური ლუკმა-პურის შოვნა ქცევიათ. ოჯახის ძირითად შემოსავალს ერთი ძროხა და რამდენიმე ძირი თხილი შეადგენს, რომელიც წლიურად 100 კგ-მდე მოსავალს იძლევა. მთავარი საარსებო საშუალება სამი ადამიანის პენსია და სოციალური დახმარებაა.

- ადრე ყანას პენსიის ფულით ვთესავდით. ახლა ველარ დავთესეთ, რადგან პენსია წინასწარ, კრედიტით გვქონდა გამოტანილი,– გვითხრა ციური დვალიშვილმა.

- ჯახის მძიმე სოციალურ მდგომარეობაზე საუბრობენ მეზობლებიც.

ბაბილინა ბეშიტაშვილი: მძიმე ეკონომიური მდგომარეობა აქვთ. ოჯახის ცხრა წევრიდან ყველა უმუშევარია,. თავის გატანა უჭირთ, როგორც გლეხების დიდ ნაწილს ქვეყანაში.

ლიანა გუჯაბიძე: – ამ ოჯახში ვისაც ჯანმრთელობა უწყობს ხელს, ყველა მუშაობს, მაგრამ არაფერი გამოსდით და კიდურესად უჭირთ.

დვალიშვილებმა, ბოლო რამდენიმე წლის მანძილზე ხელისუფლებისაგან რამდენჯერმე მიიღეს დახმარება. ერთხელ 400 ლარის, ხოლო რამდენიმეჯერ 50 ლარის ოდენობით. მიიღეს სამშენებლო მასალა 20 ცალი შიფერი და ფანჯრები სახლისათვის.

ამჯერად ციური დვალიშვილმა ხელისუფლებას დახმარებისათვის რამდენიმეჯერ მიმართა, ოღონდ არა საკუთარი ოჯახისათვის, არამედ სოფ. მერიაში მცხოვრები სიძის 54 წლის გურამ ლორთქიფანიძის დასახმარებლად, რომელსაც ავთვისებიანი სიმსივნის დიაგნოზი 6 თვის წინ დაუდგინეს. საჭირო გახდა აუცილებელი ქირურგიული ოპერაცია. რისი თანხაც 1500 ლარის ოდენობით ოჯახმა ნათესავებისა და მეზობლების დახმარებით გადაიხადა. თუმცა სიმსივნის მეოთხე სტადიაში მყოფი ავადმყოფის მდგომარეობა კვლავ უმძიმესია და მას ძვირადღირებული მედიკამენტები ესაჭიროება.

– „ბევრჯერ მივმართე ადგილობრივ ხელისუფლებას დახმარებისათვის, მაგრამ ყოველთვის ერთი და იგივე პასუხი მივიღე, ვერ დაგეხმარებით, არ გვაქვს თანხა და რა ვქნათო“. აქ რომ ვერაფერს გავხდი, თბილისში გავაგზავნე განცხადება მინისტრისა და პრეზიდენტის სახელზე. პასუხი მომივიდა – „დახმარების საკითხის განხილვა ვერ მოხერხდა, რადგან განცხადებას არ ახლავს სათანადო დოკუმენტაცია.

ონკოლოგიის სახელმწიფო ჯანდაცვის პროგრამით კი სარგებლობენ 60 წელს ზევით მყოფი პაციენტები თანგადახდის პრინციპით. ამ ეტაპზე მოკლებულნი ვართ თქვენი დახმარების შესაძლებლობას.“ წერია საპასუხო განცხადებაში. რაც შეეხება პრეზიდენტის სახელზე დაწერილ წერილს, ავტორი ამბობს, რომ ოზურგეთში პასუხი უკვე მოსულია, მაგრამ შინაარსს უმალავენ.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, კომენტარი გამგებლის მოადგილეს ლადო ქვილორიას ვთხოვეთ. –„ციური დვალიშვილს ვუთხარით, რომ წამლებს შევუძენდით ავადმყოფისთვის. მაგრამ მან ნაღდი ფულის გადაცემა მოგვთხოვა, რასაც პროგრამა არ ითვალისწინებს. ამ კვირაში ავადმყოფისთვის ჩამოვიტანთ ყელში ჩასადგმელ მილს, რომლის ღირებულება 170 ლარია.

მხატვართა ჯავშირის შეხვედრაზე

თეონა ჩხარტიშვილი

საქართველოს მხატვართა ეროვნული საერთაშორისო შემოქმედებითი კავშირის „ბურიის რეგიონის განყოფილება“ ახლახან შეიქმნა.

კავშირის თავმჯდომარედ ფარული კენჭისყრის საფუძველზე არჩეული იქნა მხატვარი თამაზ დარჩია. ხოლო გამგეობის წევრებად თითოეული მუნიციპალიტეტიდან ორ-ორი წარმომადგენელი. ოზურგეთიდან ავთანდილ თავართქილაძე, ოთარ ჩხარტიშვილი; ჩოხატაურიდან ქეთევან კუკულავა, მზია კვინტრაძე; ლანჩხუთიდან თენგიზ დარჩია, გიორგი ორაგველიძე.

ამჯერად, თანამედროვე სახვითი ხელოვნების ცენტრ – სურათების გალერეაში გაიმართა გურიაში მოღვაწე მხატვართა შეხვედრა. შეხვედრის მიზანი გახლდათ იმ წესდების გაცნობა და განხილვა, რისი მეშვეობითაც უნდა ისარგებლონ კავშირში შემავალმა მხატვრებმა. მთავარი შესასრულებელი ფუნქცია, რომელიც წევრობის მსურველს აკისრია, გახლავთ თითოეული მხატვრის მიერ კომპაქდისკის სახით 10 ნამუშევრის, ფოტოსურათის, ბიოგრაფიისა და კოორდინატის წარდგენა. მხატვართა კავშირის თავმჯდომარე თამაზ დარჩიამ მხატვრებს განუცხადა, რომ ორ თვეში ერთხელ გამოვა გაზეთი, სადაც გამოქვეყნებული იქნება მასალები მათ მიერ ჩატარებული ღონისძიებების შესახებ. წლის ბოლოს კი წიგნის სახით გამოვა შემაჯამებელი ნაშრომი.

წესდების თანახმად, კავშირის ძირითადი მიზნებია სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების, ხელოვნებათმცოდნეობის განვითარების ხელშეწყობა. ეროვნული ტრადიციების შენარჩუნება და დაცვა, ქართული ხელოვნების პოპულარიზაცია; მხატვართა შემოქმედებითი მემკვიდრეობის დაცვა; კავშირის წევრთა შემოქმედებითი და სოციალური უფლებების დაცვა.

კავშირის წევრებად, პირადი განცხადების საფუძველზე, შესაბამისი სექციის რეკომენდაციით მიიღებიან მხატვრები, ხელოვნებათმცოდნეები, ხალხური რეწვის ოსტატები. მიღებული წევრი იხდის ერთჯერად შესასვლელ თანხას და ყოველთვიურ საწევრო გადასახადს, რომლის რაოდენობა დაადგინა საერთო კრებამ ღია კენჭისყრით. ერთჯერადი გადასახადი 10 ლარი, ხოლო ყოველთვიური გადასახადი 12 ლარის ოდენობით. გარდა ამისა, კავშირის დაფინანსების წყაროს განეკუთვნება მისი კუთვნილი საწარმოებიდან მიღებული შემოსავლები, შემწირულობები, საგამოფენო და სხვა ფასიანი ღონისძიებებიდან შემოსული თანხები; სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ კონკრეტული პროგრამების განხორციელებისთვის გამოყოფილი ფინანსები; დოტაციები, სუბსიდიები და კრედიტები; შემოსავლები, რომელიც მიიღება კავშირის საკუთრებიდან; სამოქალაქო სამართლებრივი ხელშეკრულებიდან და საგარეო ეკონომიკური საქმიანობიდან.

ხელოვნების ფასი ყველას უნდა ესმოდეს!

№3 საჯარო სკოლაში სასწავლო წლის დასასრული დაწყებითი კლასის მოსწავლეებმა გამოფენის მოწყობით აღნიშნეს. რომელსაც ორგანიზებას მათი ხელოვნების პედაგოგი მაია თანდილაშვილი უწევდა. ქ-მა მაიამ აღნიშნა, რომ ისინი გამოფენებს ტრადიციულად, წელიწადის დროების მიხედვით აწყობენ. ბავშვები კი ამ დღეს ყოველთვის გულისფანცქალით ელიან. ყველას პატიჟებენ, თავიანთი შემოქმედების შეფასებას ელიან.

გამოფენის გახსნა სკოლის დირექტორმა, ქ-მა ნანა გაგუამ მიულოცა აღსაზრდელებს.

ბავშვების ფანტაზიას საზღვარი არ ჰქონდა. გამოფენა ნამუშევართა მრავალსახეობით აღინიშნებოდა. იყო ეკა და გიორგი ხომერიკების მიერ ქაღალდისაგან დამზადებული ციხეკოშკები და პირამიდები. წყლით და ქაღალდის სინთეზით დამზადებული ბალერინები.; საბავშვო თეატრი, ლუკა ჩანჩიბაძის სხვადასხვა სახის მაკარონებისგან დამზადებული ყვავილების თაიგული; ანა მახარაძის ულამაზესი კოლაჟი და კოქტეილის პლასტმასის ჩხირების გვირილა; ლაშა ფრუიძის მიერ ლობიოს მარცვლებისაგან დამზადებული ყაყაჩოები თითქოს გადმოვარდნას ლამობენ ჩარჩოებიდან და მწვანე მინდორში წითლად კიაფობენ. ლიკა ღლონტს ნაჭრის ფაქტურა ჰქონდა გამოყენებული თავის ნამუშევრებში, რომელსაც ყვავილი ქოთანში ერქვა. ხოლო ღილების ულამაზეს ჩარჩოში ღილებისავე ყვავილები ჰქონდა მოთავსებული. **ნიკა მეკვანაძეს** პლასტმასის საფანქრე ჰქონდა დამზადებული, რომელიც მოკაზმული იყო ბრინჯისა და ღილების ორნამენტებით.

ლალი ქართველიშვილს მაკარონის ნამუშევრები და თოჯინების თეატრი ჰქონდა წარმოდგენილი.

ერთ ნამუშევარს მეორე ცვლიდა, მეორეს - მესამე და სხვადასხვა მასალისგან შექმნილი კომპოზიციები თუ ნამუშევრები, ერთ სრულ ჰარმონიას წარმოადგენდა.

წლის ხელოვანად, როგორც ყველაზე მრავლად წარმოდგენილი ნამუშევრების ავტორები, ეკა და კოტე ხომერიკები დასახელდნენ, თუმცა აღინიშნა ისიც, რომ მათ კვალში ბევრი სხვა ბავშვიც მიჰყვა.

ვულოცავთ

ჯაჭარა ბიოლოგიის ოლიმპიადის ოზურგეთის წმ. ნინოს სახელობის ვიმნაზიის მოსწავლეს, დავიდეს დღეს. ვუსურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებას, კარგ სწავლას.

ფოლადულ ბელოსურუსიანი, ამინსაფი ამყოფს ამოსავლ: ბეჭია, ბაბუა, ამამიდა, ნათლია, ახლობლები.

„იგი მსუბუქად ატარებდა დიდ კაცობას“

ბორის შენგელია, ამროსი სალუქვაძე, აკაკი მჟავანაძე 1946 წ.

მამა იმ თაობას ეკუთვნოდა, სრულიად ახალგაზრდამ ომის სიმძიმე რომ გადაიტანა საკუთარ მხრებზე. დემობილიზაციის შემდეგ ოზურგეთის რაიონულ გაზეთში დაიწყო მუშაობა ჯერ ლიტმუშაკად, შემდეგ პასუხისმგებელ მდივნად. შემდეგ უმაღლეს სასწავლებელში გააგზავნეს და დამთავრებისთანავე არმიის რიგებში გაიწვიეს ოფიცრის რანგში და აქაც ქართული დივიზიის გაზეთის რედაქციაში მუშაობდა.

იგი დიდ კაცობას მსუბუქად ატარებდა

სამხედრო სამსახურის გავლის შემდეგ თბილისში დარჩა და რესპუბლიკური გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ საკუთარ კორესპონდენტად დანიშნეს კახეთის რეგიონში, შემდეგ რედაქტორობდა „საქართველოს მეხანძრეს.“

მამა თვითონაც ლექსებს წერდა და მაშინდელ ლიტერატურულ ცხოვრებაში მთლიანად იყო ჩართული. უამრავი მეგობარი ჰყავდა. მე და ჩემს დას მზიას გვიყვებოდა მის ურთიერთობებზე კონსტანტინე გამსახურდიასთან, გალაკტიონ ტაბიძესთან და სხვებთან, მაგრამ ამ ორი ბუმბერაზი ადამიანის შესახებ მონათხრობს განსაკუთრებული ინტერესით ვისმენდით.

ჩვენს ოჯახს, მამას მეგობრების სტუმრობა მას შემდეგაც არ მოკლებია, რაც საცხოვრებლად ოზურგეთში გადმოვედით. ის შთაბეჭდილებები ახლაც სიამოვნებით მავსებს. განსაკუთრებით მახსენდება მურმან ლებანიძის, გრიგოლ აბაშიძის, იოსებ ნონეშვილის, კარლო კალაძის, აკაკი ხორავს, სიკო დოლიძის და მისი ულამაზესი მეუღლის დოდო ჭიჭინაძის სტუმრობა ჩვენს ოჯახში. მაგიდას ყოველთვის მამას მეგობარი, აკაკი მჟავანაძე უძღვებოდა. ყველა სადღეგრძელოს სიმღერა მოსდევდა და ეს სუფრები მართლაც ნიჭიერად დადგმულ სპექტაკლს გავდა, როცა ყველა სიამოვნებით ემშვიდობებოდა ერთმანეთს, ახალი შეხვედრის სურვილით. ძალიან დამამახსოვრდა ერთ-ერთი ასეთი სტუმრის მიერ მამაჩემისადმი ნათქვამი:–„როგორ მსუბუქად ატარებ ამხელა კაცობასო.“

მამის გარდაცვალებით მიღებული ტკივილი იმ ადამიანებმა შემიმსუბუქეს, ვინც შემდეგ მხვდებოდა და მეუბნებოდა, თუ როგორ დაუდგა მამა გვერდით, დაეხმარა, როგორ გაამხნევა, დაანახვა სიკეთის უპირატესობა, როგორ ურჩია გულწრფელად...

ეს თითქოს არაფერი, მაგრამ როგორია, მამის წასვლის შემდეგ დედამიწაზე დადიოდეს ამდენი ადამიანი, რომელიც გეტყვის, რბილად რომ ვთქვათ, უბრალოდ ბედის მადლიერია, შენს მამას რომ შეხვედრია.

მანანა შეფირული.

ნესტორ ხერგიანის ტურნირზე

მესტიაში ნესტორ ხერგიანის სახელობის საერთაშორისო ტურნირი გაიმართა ჭიდაობა ძიუდოში 1995-96 წლებში დაბადებულ ჭაბუკთა შორის. ტურნირში მონაწილეობდნენ ძიუდოისტები აზერბაიჯანიდან, სომხეთიდან, საქართველოს სხვადასხვა რეგიონებიდან. გურიიდან ამ ტურნირზე ორი ჭაბუკი ძიუდოისტი იყო წარმოდგენილი, რომან მაჭავარიანი და გუგა მიქატაძე.

60 კგ. წონით კატეგორიაში რომანმა საუცხოოდ იასპარეზა, ყველა მეტოქე დაამარცხა და I ადგილი დაიკავა. რომანს ასევე ტურნირის საუკეთესო მოჭიდავისათვის დაწესებული პრიზიც გადაეცა.

გუგა მიაქატაძე ხშირად გვახარებს წარმატებებით. ამჯერად ხელი მოეცარა. ორი შეხვედრა მოიგო, ორი წააგო და საბოლოოდ IV ადგილზე გამოვიდა. (მწვრთნელები გოჩა ბურჭულაძე და დიმიტრი ტუღუში.)

ვაქირავებ

50 კვადრატულ მეტრ საოფისე ფართს (3 ოთახი, დამხმარე სათავსოთი) ქალაქის ცენტრში, ევრორემონტით, შენობის I სართულზე. ამავე შენობაში ქირავდება 200 კვ. მეტრი ფართი (შესაძლებელია ნაწილობრივ გაქირავებაც) II სართულზე.

მისამართი: ქ. ოზურგეთი, ერისთავის ქ. 326 (სტომატოლოგიური კლინიკა „დენტგურია“). დაგვიკავშირდით; (599) 555 684; 27 45 51.

დასავლეთ საქართველოს პირველობას წყვილთა რბოლაში ოზურგეთი მასპინძლობდა





გუშინ ქალაქ ოზურგეთში, ზვიად გამსახურდიას სახელობის მოედანზე, სპეციალურად მოწყობილ ტრასაზე დასავლეთ საქართველოს პირველობა გაიმართა მსუბუქი ავტომობილებით წყვილთა რბოლაში.

როგორც გურიის ავტომოტო კლუბის პრეზიდენტმა ზაზა ჩხატარაშვილმა გვითხრა, პირველობაში მონაწილეობდნენ თბილისის, აჭარის, ქუთაისის და ოზურგეთის ავტომრბოლელები. ცალკე გუნდი ჰყავდა ჩამოყვანილი თავად საქართველოს საავტომობილო ფედერაციას,– სულ 38 ეკიპაჟი. მთავარი მსაჯი აჩიკო ნოღაშვილი იყო.

წყვილთა შორის შეჯიბრი ორ ეტაპად იმართებოდა. მათ 3 კმ. მანძილი უნდა დაეფარათ. შეჯიბრებას უამრავი მაყურებელი დაესწრო. რბოლა გუშინ საღამოს დასრულდა.

ზურაბ („ჭუპა“) მარგველაშვილი



გარდაიცვალა ოზურგეთის „მერცხალის“ ვეტერანი ფეხბურთელი ზურაბ მარგველაშვილი.

ზურაბ მარგველაშვილი ოზურგეთის ფეხბურთელთა იმ თაობას ეკუთვნოდა, რომლებმაც გასული საუკუნის 69-იან წლებში რესპუბლიკურ პირველობაზე არაერთი წარმატება მოუტანეს „მერცხალს“და საკავშირო პირველობაზეც ისახელს თავი.

ზურაბ მარგველაშვილი 20 წლის ასაკში მივიდა ოზურგეთის „სიხარულში,“ (გუნდი იმ დროს ამ სახელით გამოდიოდა). „ჭუპა“ (როგორც მეგობრები სიყვარულით ეძახდნენ) გუნდში მარჯვენა მცველის და ნახევარმცველის ამპლუაში თამაშობდა. პენალტების დარტყმის კარგ ოსტატად იყო ცნობილი. ოზურგეთლებმა 1959-60 წლებში ორჯერ მოიპოვეს საქართველოს თასი, რაშიც თავისი წვლილი ზურაბ მარგველაშვილსაც მიუძღვოდა.

ოზურგეთელი ფეხბურთელების იმჟამინდელი მიზანი საქართველოს ჩემპიონობის მოპოვება იყო. „მერცხალი“ 1964-66 წლებში ორჯერ იყო მიზანთან, მაგრამ საბოლოოდ ორივეჯერ III ადგილი დაიკავა.

1967 წელს ზურაბ მარგველაშვილის თაობამ მიაღწია სანუკვარ მიზანს და საქართველოს ჩემპიონის ტიტული მოიპოვა. ეს იყო იმ თაობის ხანგრძლივი ბრძოლის შედეგი. მომდევნო წლებში ზურაბ მარგველაშვილი საკავშირო პირველობის „ბ“ კლასში მოასპარეზე გუნდში გამოდიოდა. 1969 წელს მან ფეხბურთის თამაშს თავი დაანება.

შემდეგ მუშაობდა „კოლხოზსტროიში,“ შემდეგ ვაჭრობის სისტემაში. ჰქონდა ლამაზი ოჯახი.

ძალიან დასაფასებელია, რომ „ჭუპას“ ფეხბურთიდან წასვლის შემდეგაც აქტიური ურთიერთობა ჰქონდა ვეტერან ფეხბურთელებთან. 2007 წელს იგი ერთ-ერთი ორგანიზატორი იყო 1967 წლის საქართველოს ჩემპიონი ოზურგეთის „მერცხალის“ ვეტერანი ფეხბურთელების შეხვედრისა.

წავიდა ჩვენგან კარგი ადამიანი, რომლის ხსოვნა მარად დარჩება ჩვენს გულებში.

მეგობრები.

მარო ნემსაძე

გარდაიცვალა ღვაწლმოსილი პიროვნება, შრომის ვეტერანი მარო ნემსაძე.

იგი 1920 წელს დაიბადა სამტრედიის რაიონში. საშუალო სკოლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ მისაღები გამოცდები ჩააბარა საქართველოს ზოოვეტერინარულ ინსტიტუტში, რომელიც 1942 წელს დაამთავრა. ქალბატონი მარო ინსტიტუტმა ოზურგეთში გაანაწილა სამუშაოდ. თავდაპირველად იგი საკოლმეურნეო ბაზრის ხორცის საკონტროლო სადგურის გამგედ დანიშნეს, რომელიც შემდეგ აგრარული ბაზრის ვეტლაბორატორიად გადაკეთდა, რომელსაც ხელმძღვანელობდა იგი ათეული წლების განმავლობაში.

ქალბატონი მარი იყო კარგი სპეციალისტი, თავისი პროფესიის ღრმად მცოდნე, გულისხმიერი და პრინციპული პიროვნება.

პირველი მედალი სამამულო ომის დროს ზურგში გაწეული შრომისათვის დაიმსახურა. ამის გარდა დაჯილდოებული იყო მედლებით შრომითი წარმატებებისათვის.

88 წლის ასაკში გარდაიცვალა იგი. დარჩა მის მიერ გაკეთებული კარგი საქმეები.

იგი მარად იცოცხლებს ჩვენს გულებში.

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№1. ტელ: 858 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311

რედაქტორი ნუგზარ ასათიანი
ელ. ფოსტა: nugzarasatiani@rambler.ru

კომპიუტერული უზრუნველყოფა გია გოგოლაძე